ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერია
ბრძანება

*5000 საქართველო, ჩხოროწყუ,
დ. აღმაშენებლის ქ. №1

ტელ: 5(99) 856 577
ელ.ფოსტა: INFO.GAMGEOBA@GMAIL.COM

ბრძანება:**ბ110. 110230947**
თარიღი:**04/04/2023**

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის მოხელის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ღია და დახურული კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის შექმნისა და კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52–ე მუხლის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 35-ე მუხლის, 37-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და 126^1 მუხლის პირველი, მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიაში მოხელის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ღია და დახურული კონკურსი, დანართის თანახმად.

2. კონკურსი გამოცხადდეს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.

3. ვაკანტური თანამდებობების დაკავების მიზნით კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად შეიქმნას ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის მოხელის საკონკურსო კომისია.

4. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ჯანმრთელობისა და სოციალური სამსახურის უფროსი კახა შელია.

5. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ უზრუნველყოს ღია და დახურული კონკურსის ჩატარების მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების

განხორციელება.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. #12).

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დათო გოგუა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

დანართი

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიაში კონკურსის წესით
დასაკავებელი თანამდებობები

N	თანამდებობის დასახელება	კონკურსის სახე	ვაკანსიის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა (ლარებში)
1	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მუნიციპალიტეტის სოციალური მუშაკი)	დახურული კონკურსი	1	1452
2	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა და ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ბავშვის ფსიქოლოგი)	დახურული კონკურსი	1	1452
3	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	ღია კონკურსი	1	1452
4	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მობილიზაციის განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	ღია კონკურსი	1	1452